№ 149 ივლისი 17, კვირა 1888 ივლისი 17, კვირა № 149

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბაზუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეშელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

ტფილისი, 16 ივლისი

წელს დანიშნულია და ამ ცოტას ხანში აღსრულებაშიაც უნდა მოვიდეს არჩევანები სოფლის სამართველოს მოხელეებისა. ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს ტფილისის ახლოდ მყოფს სამამასახლისოს მოუწადინებია მამასახლისად ამოირჩიოს სასულიერო წოდების კაცის შვილი, რომელსაც საკმაო სწავლა-ცოდნა მიუღია და იმ სამამასახლისოში სოფლური მდგომარეობა აქვს და მამულ-დედულიცა.

ამასთანავე შევიტყეთ, რომ მაზრის უფროსის თანაშემწე, რომელსაც მინდობილი აქვს ხსენებულს სამამასახლისოში არჩევანები მოახდინოს, ჰბრკოლდება იმ მიზეზით, ვითომც, თუ არ გლეხის წოდების კაცს, სხვას არავის კანონით ნება არა აქვს არჩეულ იქმნას სოფლის მართველობის მოხელედაო. მართალია, ჩვენში, თუ ხსოვნა არ გვღალატობს, ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რომ სოფლის მოხელედ სხვა ვინმე არჩეულ ყოფილიყოს, თუ არ გლეხის წოდების კაცი, მაგრამ უმაგალითობა იმისთანა საქმეში, სადაც ცხადი კანონია, მოსატანი არ არის. მით უფრო, რომ თავის თავადაც დიდად სასურველია, საარჩევანო წრე მომწყვდეული არ იყოს მარტო გლეხობის ვიწრო ფარგალში და უფრო ფართო გზა ჰქონდეს უკეთესთა კაცთა სამოვრად და ასარჩევად, თუნდა გლეხობის წრის გარედაც.

თუნდ ამასაც თავი დავანებოთ და მარტო ის ვიქონიოთ სახეში, რომ გლეხობის წრის გარედ უფრო ადვილად მოიპოვება გონება-გახსნილი კაცი, ცოტად თუ ბევრად მცოდნე და განათლებული. ამისთანა კაცი სოფლის მოხელეობაში მეტად სასურველია და სანატრელი, როგორც თვით გლეხობისათვის, ისეც მთავრობისათვისაც. გლეხობისათვის იმიტომ-რომ ცუდ-უბრალოდ არავის არ დააჩაგვრინებს თავის სახელოს კაცსა, რადგანაც ეცოდინება თავისი უფლებაც გლეხთა გამოსასარჩლებლად, სადაც კანონი ნებას აძლევს, და თავისი მოვალეობაც მთავრობისა და თავის საზოგადოების წინაშე. ამისთანა კაცი თავის მოხელეობას იმ საპატიო ხარისხზედ დააყენებს, რომელიც განზრახულია თვით კანონ-მდებელისაგან და რომელიც დღეს თვით მოხელეთა უმეცრებით და გაუკებრობით მეტად დაბლა დაწეულია და პატივ-აყრილი.

მთავრობისათვისაც სასურველია სოფლის მოხელეობაში იმისთანა კაცი, რომელიც შემძლებელ იქმნება განკარგულება მთავრობისა რიგიანად, წესიერად გაიგოს და რიგიანად და ჭკვა-დასმით აასრულოს. თორემ ეხლა უფროს-ერთგან სოფლის მოხელენი სოფლის მწერლის ხელში არიან და რაც მწერალსა ჰსურს, იმაზედ მოაწერინებს ხელს მამასახლისს, თუ სხვა მოხელეს, ანუ როგორც მწერალსა ჰსურს, ისე გააგებინებს მთავრობის მოწერილობას, თუ განკარგულებას და იმას-კი აღარ ვიტყვით, რომ ხშირად თვითონ კანონსაც-კი გადაუსხვაფერებს ხოლმე მოხერხებული მწერალი, რადგანაც წიგნის არ მცოდნე და სრულად უვიცი კაცი ამ შემთხვევაში მალე მოტყუვდება ხოლმე თუნდ იმისთანა ცოტაოდენად მცოდნისაგან, როგორიც სოფლის მწერალია. ეხლანდელ მოხელეთა უვიცობისა და უმეცრების გამო ეხლა სოფელში ჰმოხელეობს ჯამაგირით დაყენებული მწერალი და არა საზოგადოებისაგან ამორჩეულნი მოხელენი. ამას, რასაკვირველია, დიდი ვნება მოაქვს ყველასათვის.

რა საჭიროა აქ ვრცლად ჩამოთვლა საბუთებისა, რომელნიც ასე აშკარად ჰლაპარაკობენ იმაზედ, რომ სახეიროა სოფლის სამართველოს მოხელეებად ნება ჰქონდეთ ამორჩეულ იქმნან ყველა წოდების კაცნი, თუ-კი თვითონ სოფლის საზოგადოება მოიწადინებს და ღირსად დაინახავს. რა საჭიროა, იმიტომ ვამბობთ, რომ თვითონ კანონს ყოველივე ეს საბუთი ჩვენზედ უკეთ დანახული აქვს, რადგანაც კანონი ნებას იძლევა სოფლის მოხელეებად ამორჩეულ იქმნან ყველა წოდების კაცნი. სოფლის სამართველოს დებულება პირდაპირ ბძანებს ამას. მე-88 მუხლი ამ დებულებისა, განმარტებული მთავრობისაგან, ამბობს, რომ შესაძლოა „საპატიო წოდების“ (привилегированное сословіе) კაცნიც ამოირჩიოს სოფლის საზოგადოებამ თავის მოხელეთა, თუ ამისთანა კაცს სოფლური მდგომარეობა აქვსო.

ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ჟამად ხელთ არა გვაქვს ხსენებულის დებულების წიგნი, თორემ სიტყვა-სიტყვით ამოვწერდით ამ განმარტებას კანონისას უჯეროთა დასაჯერებლად. ხოლო რაცა ვსთქვით, ისიც საკმარისია, ვაღიაროთ, რომ არავის კანონიერი მიზეზი და საბუთი არა აქვს დაუშალოს სასულიეროს თუ სხვა წოდების კაცის შვილს ამორჩეულ იქმნას სოფლის მოხელედ, თუ სოფლური მდგომარეობა აქვს და თვითონ სოფელი ღირსად სცნობს და ამოირჩევს. ამის ნებას იძლევა თვითონ კანონი და, მაშასადამე, წინ ვერავინ აღუდგება.

[stamp]

## ახალი ამბავი

*** როგორც შევიტყეთ, თავ. დავით წერეთელს, ადრე „დროებაში“ სხვიტორელის სახელით ცნობილს, დაუწერია მოთხრობა ტფილისის იმერელთა და სომეხთა ცხოვრებიდგან. ავტორს განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში დაჰბეჭდოს ეს მოთხრობა.

*** გუშინ 16 ივლისს, თერთმეტს საათზე, მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ეგზარხოსმა პალადიმ აკურთხა ახლად აშენებული ნიში ქაშუეთის ეკკლესიის გალავანთან. ამ კურთხევაზე დაესწრნენ გრაფი შერემეტიევი, ვიცე-გუბერნატორი თავ. შარვაშიძე და სხვ. შემდეგ ეგზარხოსი თავისის კრებულით წაბრძანდა სიონის ტაძარში, სადაც აკურთხეს ახლად აგებული სასულიერო მუზეუმი, რომელიც აშენებულია სიონის გალავანში.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიაში მომავალ ენკენისთთვის პირველიდგან დაწესებული იქნება ინსპექტორის მესამე თანაშემწეს ადგილი. ამ თანამდებობაზე დაუნიშნავთ ახლად კურს შესრულებული კიევის სასულიერო აკადემიაში, მ. ტყემალაძე.

*** ამავე ენკენისთთვის პირველიდგან ტფილისის სასულიერო სემინარიის გამგეობას საჭიროდ უცვნია გამართოს მეოთხე პარალელური კლასი, მხოლოდ ხარჯი-კი ამ მეოთხე პარალელურის კლასისა უნდა იკისროს იმერეთისა და გურია-სამეგრელოს სამღვდელოებამ.

*** 15 ამ თთვისას მტკვარს კიდევ უმსხვერპლია ერთი ყმაწვილი. აი საქმე როგორ ყოფილა: ერთი თხუთმეტის წლის ვაჟი, ვერაზედ მცხოვრებელი, წასულა საბანაოდ მტკვარზედ და თან წაუყვანია თავისი პატარა ათის წლის და. ჩასულა სატივოზედ საბანაოდ და იმისი და-კი ნაპირზედ მდგარა გაუხდელი. რამდენისამე ხნის შემდეგ ყმაწვილი წყალს მოუტაცნია და სრულებით ჩაუყურყუმელავებია. პატარა ქალს ბევრი უწივლია, მაგრამ მშველელი არავინ გამოჩენილა. მაშინ პატარა ქალი შინ გამოქცეულა და დედისათვის შეუტყობინებია. დედას გული წასვლია და ძლივს მოუბრუნებიათ მეზობლის დედაკაცებს. ყმაწვილის გვამი ჯერაც ვერ უპოვნიათ.

*** გუშინ-წინ, 15 ივლისს, ტფილისშიაც დიდის ამბით გადაიხადეს 900 წლის იუბილეი რუსეთის ნათლის ღებისა. აუარებელი ხალხი დაესწრო ამ ღირს-შესანიშნავს დღესასწაულს. მთელი შუა-ბაზარი, ეგზარხოსის მოედანი და ანჩისხატის უბანი ხალხით იყო გაჭედილი.

# ფელეტონი

## ძველი და ახალი თაობა

დამქროლა ქარმან სასტიკმან,
თან წარმიტანა ყვავილი.
ნ. ბარათაშვილი

### I

ხალხის ცხოვრება მაშინა სდგას მკვიდრად წარმატების გზაზე, როდესაც მოზარდი თაობა ჭკუასა სწავლობს თავის მამებისაგან, აკვირდება და ითვისებს იმათს ცოდნას, გამოცდილებას, ხერხსა და ამ სახით გამოდის მოედანზედ სრულებით დამზადებული იქამომდე, რომ შეუძლიან მამათა მაგიერი ადგილი დაიჭიროს საქმის წარმოებასა და გაძღოლაში. ამასთანავე, რაკი ნორჩი თაობა ყმაწვილობაშივე დაისაკუთრებს მთელს სამკვიდროს მამათა ჭკუა-გონებისას და ზნეობისას, შეუძლებელი საქმეა, რომ მთელი თავისი სიცოცხლე განვლოს და ახალი რამ განძი არ წაუმატოს იმ საუნჯეს, რომელიც მზა-მზარეულად მიიღო თავის მამებისაგან. მიზეზი ამის აუცილებლობისა უნდა ვეძებოთ ადამიანის სულისა და გულის ვითარებაში. თვით ცხოვრების ასპარეზიც ისეთი რთულია, რომ ხშირად ძალას გატანს სხვა საფუძველი და სხვა სათავე მოუნახო ამასა თუ იმ ამბავს ცხოვრებისას, ვიდრე ის საფუძველი და სათავე, რომელიც ხელ-უხლებლივ გადმოგცა შენმა წინაპარმა და რომელიც აღარა კმარა, რომ შესაფერი ნათელი მოჰფინოს საგანსა. ზოგჯერ ისიც-კი შესაძლოა, რომ სრულებით შემცდარნი გამომდგარიყვნენ შენნი წინაპარნი, როდესაც მიეღოთ ესა თუ ის აზრი, და ცხოვრების ვითარებას შემდეგი თაობა მიეყვანოს სრულებით სხვა აზრთანა და სხვა დასკვნასთან.

ამაზედ არის დამყარებული კანონი ხალხთა წარმატებისა, აგრეთ წოდებულის პროგრესისა:

ისა ჰჯობს მამულისათვის,
რაც შვილი ჰჯობდეს მამასა —

ამბობს ჩვენი ხალხი და ამ მოკლე სიტყვით მკაფიოდ გვიხატავს დიდებულს აზრს ხალხთა წარმატებისას.

აშკარაა, რომ შეუძლებელი იქნებოდა ყოველივე წინ-სვლა და განვითარება, უკეთუ შემდგომი თაობა არაფერს ახალს არ შეიტანდა ცხოვრებაში და შეაბერდებოდა მხოლოდ იმას, რაც მიიღო წინა თაობისაგან. ხოლო იმ შემთხვევაში-კი, როდესაც მომყოლი თაობა სრულებით გულგრილად უყურებს ცოდნისა და გამოცდილების თანხას წინაპრებისას და მხოლოდ ცალ-ყბად ითვისებს ზოგიერთს თვისებას, რომ ლუკმა პური-კი იშოვნოს და მშიერი არ მოკვდეს, — ამისთანა უბედურს ყოფაში არა თუ ახალს ვერას შეიტანს შემდგომი თაობა და ვერ წაუმატებს ხალხის პროგრესს.

**

მე არ გამოვუდგები იმის აღწერას, თუ როგორი გარემოებაა საჭირო იმისთვის, რომ ხალხი დაადგეს უტყუარს კვალს წარმატებისასას. უიმისოდაც ჩვენ მიერ აღებული საგანი ფრიად ვრცელია და თუ ყველაფერს ხელი ჩავკიდეთ, რაც-კი საყურადღებო აზრი დაგვხვდება გზა და გზა, ძალიან შორს წავალთ, და საგაზეთო წერილებისათვის-კი საჭიროა შეძლებისამებრ წააკვეცო და შეაჭრა ფრთები, რომ მალე გახვიდე ბოლოში.

თვით ეს ზოგადად გამოთქმული კანონი წარმატებისა ჩვენ წაეიმძღვარეთ წინ მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ხელში გვეჭიროს გზა-მაჩვენებელი ბაწრის წვერი და იმის კვალობაზე განვიხილოთ საგანი შესახებ ჩვენის ძველისა და ახალის თაობისა.

საგანი მეტად მწვავეა და დიდი მეცადინეობა გვმართებს, რომ დინჯად და მიუდგომლად დავადგინოთ ღირსეული განაჩენი როგორც ერთზე, ისე მეორე თაობაზე და უსამართლონი არ გამოვდგეთ არც შესახებ ჩვენის სულიერის მამებისა და არც ჩვენის სწორ-ამხანაგებისა.

მიმიხვდებოდით, მკითხველო, რაშიაცა მდგომარეობს სიმწვავე საგნისა. ერთის მხრივ უნდა პასუხი მოსთხოვოთ მესამოცე წლების თაობის მწერალთა და მოღვაწეთა: აპა, ჩვენნო დარბაისელნო მამანო, რა სიკეთე შეგიმატებიათ ჩვენის ავ-კარგიანობისათვის და რა აკეთეთ თქვენს ცხოვრებაში.

მეორე მხარესაცა აქვს თავისი სიმწვავე: აბა, თქვენ, ეი, ბალღებო, თქვენ რაღას გვიკეთებთ და ან-კი შეგიძლიანთ უიმათოდ მწერლობასა და საზოგადო მოღვაწეობაში ფეხი გადასდგათ და ან დაიჭიროთ იმათი ადგილი?

სიმწვავესთან ერთად ძალიან დიდს სიძნელესაც წარმოადგენს ეს საგანი, იმიტომ რომ დღემდე ჯერ არც თვითონ ჩვენს წინაპარებს, რომელთაც სჯობია ვუძახოთ მიღებული სახელი „თერგ-დალეული“, ჰო, ჯერ არც „თერგ-დალეულობას“ გაუსვიათ ხაზი თავიანთ მოქმედებისათვის და არ მოუწერიათ ქვემოდამ ჯამი თავიანთის შრომისა, და არც სხვა ვისმეს უხლია ხელი იმ საყურადღებო საკითხისათვის, თუ რა მოგვცეს ჩვენ „თერგ-დალეულებმა“ და რა გააკეთეს ქვეყნისათვის სასიქადულო და თავ-მოსაწონებელი. ყველამ-კი ვიცით, რომ კარგი თაობა იყო და კიდევაც არის „თერგ-დალეულთა“ თაობა, ვგრძნობთ, რომ რაღაც სიკეთე შეიტანეს ჩვენს ბნელს ცხოვრებაში, და ჯერ-კი ცოდნის თვალი არ გადაგვივლია ამ სიკეთისათვის, ჯერ-კი არავის აუწყვია მეცნიერულის საწყაოთი მათი ღვაწლი და მათი ამაგი.

ჰო-და, აბა რაღა თქმა უნდა, რომ თუ-კი ჩვენი თვით-ცნობიერება ჯერ იქამდე არ აწეულა, რომ კრიტიკის თვალი გადაავლოს იმისთანა ნამოქმედარსა, ნაშრომსა და ნაამაგევს, როგორიც არის ყველასაგან ცნობილი მამულის-შვილობა „თერგ-დალეულთა“, — საიდამღა უნდა გაგვესინჯა კბილი ახალის თაობისათვის და როგორი საწყაო უნდა გვეხმარა იმა-

*** ამ ჟამად ბ-ნი ილია წინამძღვარიშვილი ჰბეჭდავს თავისს თხზულებას ვაზის მოვლისა და გაშენების შესახებ ქართულს ენაზე. ამ წიგნისათვის შეკვეთილი სურათები, სხვადასხვა მცენარებისა, კიდეც იბეჭდება ძმათა მესხიშვილების ლიტოგრაფიაში

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბ-ნი გრ. ტატიშვილი აპირებს ქართულის ნოტების გამოცემას. ამ ნოტებში მოქცეული იქნება სამი ქართული სიმღერა. ამ სიმღერების მუსიკა ეკუთვნის ბ-ნს მელ. ბალანჩივაძეს. სათაურად ამ ნოტებს ექმნება: „ქართული ქნარი“.

*** ხარფუხში შავი ყვავილი გაჩენილა. ამ საშინელს სენს ჯერ-ჯერობით სამიოდე ბავშვი უმსხვერპლია.

*** ვანქის მოედნიდამ მოყოლებული მუხრანიანთ ხიდამდე, თითქმის ეს ათი დღე იქნება, რაღაც ამყაყებული და მყრალი წუმპე ჩამოდის. ეს სიმყრალე საშინლად აწუხებს ამ ქუჩებზე მცხოვრებლებს და გამვლელ გამომვლელს. საქმე იმაშია, რომ ვანქის მოედანზე გამოყვანილია ავჭალის წყლის მილი, საიდამაც თუ ლუხჩები და მებოჩკეები წყალს ეზიდებიან. ჩამოსხმის დროს კრანს ან სულ არა ჰკეტენ, ან მაგრად არ უჭერენ რის გამოც წყალი წურწურით ჩამოდის, ალაგ-ალაგ გუბდება, მყაყდება და თავისის სიმყრალით ჰაერსა სწამლავს.

*** მთაწმინდელ სომხის, ვიღაც იშხანიანცის, ვაჟი, ათის წლის სანდრუა, თურმე მტკვარში ბანაობდა და იბანა თუ არა, იქვე მდგომ ცხენებთან მივიდა, უნდოდა ძუის გამოგლეჯა. ცხენმა უეცრად წიხლი ჰკრა საწყალს ბავშვს შიგ ყბაში, ხორცი შეაგლიჯა და კბილებიც ჩაუმტვრია. სასოდავი ყმაწვილი პოლიციელებმა შინ მიჰგვარეს დედას.

*** სურამიდამ გვწერენ, რომ გასულს კვირას ბ-ნს ქორიძეს იქ კონცერტი გაუმართავს. კონცერტს ჩინებულად ჩაუვლია და ხალხიც ბლომად დასწრებია. შემოსავალი ოც თუმნამდინ ყოფილა.

*** მოსკოვში დაშკოვის საეტნოგრაფიო მუზეუმს, პროფესორ ვ. ფ. მილლერის რედაქტორობით, დაუბეჭდია და გამოუცია მესამე ნაწილი „საეტნოგრაფიო მასალების კრებულისა“. ამ კრებულში მოქცეულია მრავალი საყურადღებო საეტნოგრაფიო წერილი. სხვათა შორის რამდენიმე წერილი კავკასიასაც ეხება. ბ-ნს ი. შ. ანისიმოვს დაუწერია ვრცელი წერილი კავკასიელ მთიულ ებრაელთა ყოფა-ცხოვრებაზე. თვითონ ანისიმოვი კავკასიელი მთიული ებრაელია, მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების დახმარებით დაუთვალიერებია დიდ-ძალი სოფლები ებრაელებისა და შეუკრებია მრავალი სასტატისტიკო და საეტნოგრაფიო ცნობა. აგრეთვე დაბეჭდილია ბ-ნის ს. ხახანაშვილის წერილი მოხევეების და ფშავლების შესახებ; წერილი ბ-ნ მ. ი. ტყეშელაშვილისა—ადერბეიჯანის თათრების შესახებ; წერილი ნ. ნ. ხარუზინისა—ჩაჩნებისა და ინგუშების იურიდიულს ყოფაზე; ვ. ნ. აკიმოვისა—„საქორწინო წესები ჩაჩნებისა და ინგუშებისა“ და „იმერული ზღაპრები და რწმუნებანი“ ვ. ი. სიზოვისა, რომელიც ამ თხუთმეტიოდე წლის წინად ისტორიის მასწავლებლად იყო ქუთაისის გიმნაზიაში.

*** ქუთაისი: ქუთათურმა ქართველმა ისრაელებმა, როგორც მოგეხსენებათ, დიდი ქვითკირის სალოცავი ააგეს. ყოველ გვარი მზრუნველობა გასწიეს, რომ ღვთის სადიდებელი სახლი ჩინებული გამოსულიყო და მართლადაც ისეთი გამოვიდა ახალი სალოცავი. რაბინადაც ახალგაზდა ხახამი დანიშნეს, ბ. ს. რიჟინაშვილი, და მგალობლების გუნდიც გაიჩინეს, მაგრამ უმთავრესი საგანი-კი ყურად უღებელი რჩება. ვერ წარმოუდგენიათ, რომ ისკოლო საზოგადოება, რომელსაც განათლებული წევრი არ მოეძებნება, ყოვლად საბრალოა, წესაგებული და რომ უფრო სასახელო იქნება ნივთიერად შემკულს და გამშვენიერებულს სალოცავს ჰყავდეს გონებით შემკული და განათლებული „ჯამაათი“.

ეს ნაკულევანება თითქო იგრძნო ახალმა რაბინმა და მოინდომა ებრაულის ენის ხელ-საძღვანის წიგნის შედგენა ქართულს ენაზე. წიგნი კიდეც შეადგინა გოგებაშვილ-კალანდარაშვილის მეთოდით, მაგრამ ქართული სიტყვები ყველა ებრაულის ასოებით გამოიყვანა, რადგან ეცოდებოდა, როგორც „ხასიდიმს“, ებრაულს ასოსთან ქართულის ასოს მოწერა. გაგზავნა საცენზუროდ ოდესაში, მაგრამ უკანვე დაუბრუნეს: ვერც გავარჩიეთ და ვერც გავიგეთო. ახლა-კი გონს მოვიდა რაბინი და ქართულის სიტყვების ქართულისავე ასოებით დაწერას აპირებს და უნდა დაიბეჭდვინოს. ამ ხელსაძღვანით ნორჩ ბავშვებს ასწავლიდებათ თავიდამ პირდაპირ ებრაულის ლოცვების კითხვა და თარგმნა ქართულად და ადვილიდამ ძნელზე გადასვლა უფრო ხელს მისცემს იმათს გონების წარმატებას. ამასთან ებრაულსაც უფრო საფუძვლიანად შეისწავლიან და ქართულად თარგმნა უფრო კანონიერის ენით დადგინდება, ვიდრე აქამომდე იყო.

*** ჩვენა გვწერენ მშვენიერი მოსავლის პირი უჩანს იმერეთში სიმინდსაო. შორიდგან რომ შეხედოთ, გეგონებათ, რომ ზეცადგან მთლად ღრუბლები ჩამოწოლილან ქვევით და მიწას მოჰფენიანო, ისე გადაშავებულია ყანები შავის სიმინდით. ავს თვალს არ ენახვება, როგორც იტყვიან, ეს გადაბიბინებული მინდვრები. თუ ერთს თვეს კიდევ ეგრე გასტანა ტაროსმა და ქვემო იმერეთის დაუძინებელმა და დაუცხრომელმა მტერმა—აღმოსავლეთის ქარმა—არ დაჰქროლა, სწორედ რომ ძალი არ დაჰყვეს მუშა ხალხის ბედს, და, თუ ვინიცობაა აღმოსავლეთის ქარმა დაჰბერა, მაშინ-კი სანახევროდ უნდა გამოეთხოვოს მუშა თავის ნაწვავ-ნადაგსა და წაამაგარს.

*** ქუთაისი: მადლობა ღმერთს, რომ აღმოსავლეთის ქარს დავიწყებული ვყავართ, თორემ დღემდე, არამც თუ ყანებს გაანადგურებდა, ქალაქს ქუთაისსაც გაანახევრებდა. იშვიათად გაივლის ღამე ისე, რომ ამ კურთხეულს ქუთაისში ცეცხლი არ გაჩნდეს. 11-ს ამ თვეისას, ნაშუადამევის პირველს საათზედ, ასტყდა ზარების რეკა და შეიქნა არა ჩვეულებრივი მოძრაობა. ცეცხლის მქრობელმა რაზმაც გასწია ცეცხლისაკენ, მაგრამ, სანამ მიუსწრებდა, ყოვლად ძლიერმა ცეცხლმა მოასწრო ერთის სახლისა და დუქნის განადგურება და დაფერფლვა. მეორე დღეს ქუთაისის ბულვარზე მხოლოდ ამ ცეცხლის თაობაზედ-ღა იყო ბაასი და მასლაათი. ჯერ კიდევ არ დაწყნარებულიყვნენ ქუთათურები, რომ ახალი სალაპარაკო მასალა დაემატა. 13 ამ თვეისას, საღამოს 10 საათზედ, ასტყდა ისევ ზარების რეკა, შეიქნა ყვირილ-კივილი და ხალხისა და ეტლების მოძრაობა. რა ამბავია? ისევ ცეცხლი და ცეცხლი!

*** სოფ. კოკი (ზუგდიდის მაზრა): სამს ამ თვეისას, კვირა საღამოს, მზის ჩასვლის დროს, გზაში დახვდნენ ავაზაკები აზნაურს შამშე ლიფონავას, ესროლეს რევოლვერი და ორი ტყვია პირდაპირ მკერდში მოახვედრეს. როდესაც შამშემ უკანვე გაბრუნება დააპირა, ავაზაკებმა ზურგში დაუშინეს რევოლვერი. საწყალმა ორმოციოდე ნაბიჯი გაიარა, მაგრამ დაეწივნენ, დასცეს და ხანჯლებით აკაფეს, ასე რომ საბრალოს რევოლვერით თუ ხანჯლებით თოთხმეტი ჭრილობა ჰქონდა. შამშემ, როცა ავაზაკები თავს დაესხნენ, მორთო ისეთი ყვირილი, რომ ერთის ვერსის მანძილზე გაიგონა იმისმა მასპინძელმა, გლეხმა ნიკო კვარაცხელიამ. ამანაც გასწია უცბად ცხენით და ნახა ორი ცხენოსანი, სიძე-ცოლის ძმა, თავადები. კვარაცხელიამ ჰკითხა ამათ: რა ამბავია ეს თოფის ხმა და ყვირილიო? თავადებმა უპასუხეს: ჩვენ არა გაგვიგონია-რა, მხოლოდ რაღაცა ქალის კივილი-ვით-კი მოგვესმა აი იქიდამაო. კვარაცხელიამ ამათ სიტყვას ყურადღება არ ათხოვა, გასწია პირდაპირ გზით და ნახა სულთ-მობრძავი დაჩეხილი ლიფონავა ორმოცს ნაბიჯზე იმ ადგილიდგან, სადაც თავადები იდგნენ. კვარაცხელიამ მორთო ყვირილი და ამ ყვირილზედ მოგროვდა ხალხიც.

---

თის გონებისა და ზნეობის ღირსებათა ასაწყავად.

**

მიზეზიც ეს არის, ჩემო მკითხველო, რომ წინათვე გაფრთხილებ, თუ რამდენი სიმწვავე მოსდევს ამ საგნის განხილვას და რა ძნელად შესაჰიდებელი საქმეა. მოედანი ვრცელია და ჯერ არავის შეუტანია მკვლევრელის ხელი და კრიტიკის თვალი, ურომლოდაც შეუძლებელია ასეთს საგანში კალმა გადაჰკრითა სთქვას: „თერგ-დალეულთა“ თაობა უწარჩინებულესი რამ თაობაა და ძალიანაც ბევრით გაუკეთებია ქვეყნისათვისაო, მაშინ-როდესაც შემდგომი თაობა გაფხაჭნილ ცალ-ფულადაც არა ღირსო. აგრეთვე ვერავინ იტყვის, რომ „თერგ-დალეულებს“ ჩხირიც არ გადაუბრუნებიათ ქვეყნისათვის, არა ურგიათ რა და რაც არის, ისევ ახალი თაობაა ქვეყნის დიდება და წარმატების მკვიდრი ბურჯიო.

თვით საგნის სივრცე თხოულობს ყოველ მხრივს და სინიდისიერს შესწავლას, თორემ უსამართლობასთან ერთად შესაძლოა სასაცილობაც მოგვივიდეს, მეტადრე თუ აჩქარდით. „აჩქარებითა ქვეყანა არავის მოუჭამიაო“, ყმაწვილობითვე ესმის ჩვენს კაცსა, მაგრამ ზოგი ჩვენგანი ძრიელ აჩქარებულია სიტყვაში თუ საქმეში. რასაკვირველია, თვითონ სიჩქარე და სისწრაფე არას წაახდენს, თუ-კი მოახერხე და განუწყვეტლივ გონების თვალი ადევნე შენს სიტყვასაცა და საქმესაც. მაგრამ თუ სიჩქარემ გონებას თვალი აუბა და წინ წამოსწია მარტო გრძნობა, გინდაც უკეთესის ღირსებისა, ადვილად ჩავარდებით ზოგჯერ ისეთს შეცდომის მორევში, რომ ცხრა უღელა კამეჩმაც ველარ გამოგიყვანოთ მშრალზე.

ზოგს ჩვენს თანამემამულეს ისეთი სენი სჭირს, რომ რა გუნებაზედაც ადგება დილით ქვეშაგებიდამ, იმ თვალით უყურებს საგანს ცხოვრებისას. დღეს, მაგალითად, მარჯვენა ფეხზე ადგა, მხიარულების ღიმილი დაჰყვა ტუჩებსა და საღამომდე ჩინებულს გუნებაზეა. ამისთანა ყოფაში ის დარწმუნებულია, რომ ქვეყანა სწორედ სამოთხეა, ყველანი თავ-თავიანთს საქმეს აკეთებენ, ყველანი საქებარნი და მოსაწონნი არიანო, მოხუცი თუ ახალგაზდა, „თერგ-დალეული“ თუ ახალის თაობის წარმომადგენელიო. მაგრამ აბა ნახეთ იგივე თანამემამულე, როდესაც მარცხენა ფეხზე ადგება. შენი მტერი, იმას ვერა მოაწონო-რა, ვერც ახალი, ვერც ძველი. თვით ცხოვრება ჰკარგავს აზრს იმის თვალში და, თუ-კი გამოათქმევინებთ, ისეთის რიხითა და მრილით გაანადგურებს ყველაფერს, თითქო მართლა შეესწავლოს საგანი და გამოეყვანოს უკანასკნელი დასკვნა თავისის მწარე შეხედულობისა შინაურობასა და გარეულობაზე.

შესაძლოა, იგივე თანამემამულე ადგეს ქვეშაგებიდამა და ორივე ფეხი ერთს დროს მოახვედროს მიწას, მაშინ სწორეთ მარტის გუნებაზე იქნება მთელი დღე—ხან მოიწმენდს, ხან მოიღრუბლება, ხან გაქებს, ხან გადაგცებს, მოგიწონებს იმას, რასაც გუშინ გიწუნებდა, და დაგიწუნებს იმას, რაც გუშინ მოსწონდა, რისთვისაც გუშინ გაქებდა და გადიდებდა. ეგ მოწონ-დაწუნება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რომელმა აზრმა გაურბინა თავში იმ დროს, როცა გელაპარაკება, და მოწმენდილს გუნებაზეა, თუ მოღრუბლულზე.

**

მეტყვით, რომ ზოგი-კი არა, ყველა კაცი, ასე თუ ისე, ემორჩილება თავის გუნებასაო. მართალია, ყველა კაცი ბევრში ემორჩილება თავის გუნებას, ბევრში გუნებასაც იმორჩილებს, როდესაც საქმე შეეხება შინაურულ საქციელსა და განწყობილებასა, მაგრამ კარგად იცით, რომ აზრის საქმე როდია დამოკიდებული გუნებაზედ. ვსთქვათ, თქვენ გამოცდილებითა და ჭკუის გარჯით მიაღწიეთ იმ აზრსა, რომ განათლების გავრცელება არის უსაჭიროესი საგანი ხალხთა მეცადინეობისა, რომ დღეს უამისოდ შეუძლებელია ბედნიერების მიღწევა. დაადექით ამ აზრსა, რწმენად გარდაჰქმენით იგი თქვენთვის და ჰმოქმედობ თანხმად ამ რწმენისა. განა შესაძლოა, რომ გუნების ცვალადობაზე დაამყაროთ ასეთი აზრი? განა მოსახერხებელია, რომ ერთსა და იმავე დღეს ჯერ იქადაგოთ საჭიროება განათლების გავრცელებისა და მერე უცებ გამოგეცვალოთ გუნება და დაიწყოთ ქადაგება წინაღმდეგ ამ აზრისა? აზრი გუნებას როდი ეკითხება. გინდ მარცხენა ფეხზე ასდგეთ და გინდ მარჯვენაზე, გინდ მოქრუშული და მოღრუბლული სახე აგყვეთ ძილიდამ, გინდ მაისის ცასავით მოწმენდილი და კაშკაშა, მაინც რწმენა რწმენად დაგრჩებათ, ვიდრე სხვა უკეთესი რწმენა და აზრი, შემდეგ ხანგრძლივის შესწავლისა და ბრძოლისა, არ დაიჭერს წინანდელის ადგილს თქვენს თავსა და გულში.

აზრი უთუოდ უნდა იყოს დაფუძნებული ცოდნაზე და ცოდნაც უეჭველად უნდა ყოველ მხრივი იყოს შეძლებისამებრ. უამისოდ ჩვენი აზრი აზრი-კი არ იქნება, რაღაც მარტიაობა გამოდგება და ყველანი გუნებ-ნაცვლობაში ჩამოგვართმევენ.

საუბედუროდ, ჩვენი კაცი ცოტა უკაცრავად გახლავსთ აზრის საქმეებში და ამიტომ ძნელად შეიკავებს თავსა, რომ მაშინათვე არ წარმოსთქვას საქვეყნოდ, რაც-კი პირზე მოადგება. აღარ დაგიდევს არც ლოგიკას, არც სამართალს, არც ერთსა და არც მეორეს. გამიშვით, მაგათი ფერი-კი დაიქცა, ერთი ასეთ-ასეთები ვუთხრა, რომ სულ ზურგზე ბოლი ავადინოვო.

**

უკაცრავად-კი არ ვიყო და ერთს ამბავს გიამბობთ. ამ დღეებში ერთმა ამისთანა ჯეჰელმა „ზურგზე ბოლი აადინა“ ერთს ჩემს ნაცნობს დიდის ქიხვინითა და გამარჯვებულის ფართი-ფურთით: აბა ერთი შეჰხედეთ, ვინა სწერავს ფელეტონებსაო! რა კაცია ეგ ვიღაც უბედური გზირი ქალაქისაო!..

არ ვიცი, ჩემო მკითხველო, იქნება მწერლობისათვის საზოგადოდ ძალიან სასურველი იყოს საცნობელად, თუ რა მოხელეა ჩემი ნაცნობი მეფელეტონე და იქნება მართლა რამ სიცუდე სჭირდეს (ან ვინ არის ამ ქვეყანაზე სრული!), მაგრამ თუ მისი ნაწერები თქვენში არა ჰბადებს ზიზღსა და არ გიღონებსთ გულს, თუ იმისმა ნაწერებმა დაიმსახურა ერთი ბეწოთი მაინც თქვენი ყურადღება და ხელიდამ არა გვარდებათ გაზეთი, როდესაც იმის სახელსა ჰკითხულობთ ფელეტონის ბოლოში, და თუ ამასთანავე ისეთი ბედნიერიც არის, რომ ცოტათი მაინც აძლევს მასალას თქვენს სულსა და გულს,—მე მგონია, ქალაქისა კი არა, გინდა სოფლის გზირიც იყოს, ვერავინ ვერ წაართმევს უფლებას ვერც წერისასა და ვერც აზროვნობისას. მწერლობა ისეთი დალოცვილი ასპარეზია, რომ იქ არც გვარიშვილობასა გკითხავენ, არც პასპორტს, ოღონდ-კი იყავ კაცი პატიოსანი, ამუშავე გონება და გამოიჩინე უნარი შენის აზრისა და გრძნობის გამოხატვისა ქაღალდზე. მეტი არა გეკითხება-რა რიგიანს მწერლობაში. ნაძირა მწერლობისათვის ხომ ესეც არ გეკითხება... მაგრამ რას ვამბობ—„არ გეკითხება“-მეთქი! „არ გეკითხება“-კი არა, პირ-იქით, რაც უფრო შორს იდგები პატიოსნებაზე, რაც მომეტებულს ლაფს ამოიღებ შენის ტალახიანის გულიდამ და მოიწადინებ პატიოსან მოყვასთა გალაქვას, მით უფრო სახელოვანი კაცი იქნები შენს თანამოაზრეთა შორის და ისე თამამად და აშპარტავნულად გაივლ-გამოივლი ბულვარზე, მტრის თვალების დასაბრმავებლად, რომ შენი თავი შენვე მიგაჩნდეს თვით ნაპოლეონის ბადლად და მეტადაც. იქ რაც მომეტებულად გაგასივებს და გაგაბრაზებს თავ-განწირული შრომა პატიოსან მოღვაწეთა, რაც მომეტებულს ხალისსა და მადას გამოიჩენ მათს წრფელს წადილს მოსცხო ჩირქი სიმდაბლისა, რაც უფრო და უფრო გაუდგები იმათს მისწრაფებას და იმათს გულის ტკივილს, მით უფრო საქებური და ცნობილი „ბორზოპისეცი“, ბაშიბუზუყი და გინდ ყიზილბაში იქ-

იმავ ღამეს აცნობეს პოლიციის ბოქაულს ზუგდიდში და ორშაბათს დილით გათენებამდე მოვიდა ბოქაული და შეუდგა საქმის გამოკვლევას. ბოქაულის შემდეგ მოვიდნენ მაზრის უფროსის თანაშემწე, თავ. დადიშქელიანი, და გამომძიებელი და შეუდგნენ გამოძიებას. როგორც ამბობენ, კიდეც აღმოაჩინეს ბოროტ-მოქმედნი. ოთხი კაცი დაჭერილია და რამდენსამე კაცს კიდევ დაეძებენ. ამბობენ, მკვლელობის მიზეზი მტრობა იყოვო. ერთს დამჭერელთაგანს ტანისამოსი სისხლით გასვრილი აღმოუჩნდა, თუმცა გარეცხას ძლიერ სცდილიყო.

*** ქ. კავკავიდგან გვწერენ, რომ აქ ყვავილი და ყელ-ჭირვება გაჩნდა და დიდს ზარალს აძლევს მდაბიო ხალხს.

*** სოფ. ჩირისტონყავი (კავკავის მაზრა). ამ დღეებში შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა: ორს ოსს ჩხუბი მოუვიდა და ერთმა მეორე დასძლია. მოჩხუბარნი ხალხმა გააშველა. გაიგო თუ არა ეს ამბავი გალახულის ძმამ, გამოედევნა გამლახავს და ისე ძლიერად დასცა თავში კეტი, რომ იქვე სული განატევებინა.

# უცხოეთი

გერმანია. ევროპის ჟურნალ-გაზეთებში აგერ რამდენიმე ხანია ხმა დადის, ვითომ გრაფი გერბერტ ბისმარკი პარიჟში უნდა წავიდეს და სადიპლომატიო მისია აქვს მინდობილი მაღალ-მნიშვნელობიანიო. ამ ხმამ, რომლის პოლიტიკური მნიშვნელობა ეჭვს გარეშეა, დიდი მითქმა-მოთქმა ასტეხა ევროპის მწერლობაში. რა მინდობილება უნდა ჰქონდესო,—ჰკითხულობდნენ,—გერმანიის რკინის კანცლერის შვილს რესპუბლიკის მთავრობის წინაშეო? მშვიდობიანობის მოციქულია, თუ იმისი მისვლა უფრო მეტად გაამძნელებს და გაამწვავებს ისეც გამწვავებულს ევროპის დიდთა სახელმწიფოთა ურთიერთს დამოკიდებულებასაო? ეს საკითხნი, რასაკვირველია, უპასუხოდ, აუხსნელი არ დარჩა და სულ მცირე ხანს შემდეგვე გამოაცხადეს, რომ ნამდვილის წყაროებიდგან შევიტყეთ გერბერტ ბისმარკის პარიჟში გაგზავნის მიზეზი ცნობის მოყვარეთა დასაკმაყოფილებლადაო. ამ შემთხვევაში სკეპტიკებმა გაიმარჯვეს ოპტიმისტებზე და ამ ჟამად საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობა ამბობს, რომ გერბერტ ბისმარკი იმიტომ მოვა პარიჟს, რათა საფრანგეთის მთავრობას გარდასცეს ულტიმატუმი, დიდთა სახელმწიფოთა მიერ ხელ-მოწერილი, რომელშიაც ნათქვამია: საფრანგეთმა იარაღის ასხმასა და ჯარის საომარს ფეხზედ დაყენებას თავი დაანებოს და ამასთან ელზას-ლოტრინგის დაბრუნება ფიქრისაგან განიშოროსო. „Matin“-ი ამბობს, რომ ბისმარკს განზრახვა აქვს, არა თუ მარტო პოლიტიკურად გააქსუოს საფრანგეთი და დაამცროს, არამედ იმასაც არის მოწადინებული, რომ ამოფხვრას საფრანგეთის სახელი დიდთა სახელმწიფოთა რიცხვიდგან და რესპუბლიკა გაანადგუროს. ამ განზრახვის მისაღწევად თ. ბისმარკს სურს დიდნი სახელმწიფონი დაიყოლიოს და თავისთან ერთად ამოქმედოს. კანცლერის პროექტი იმაში მდგომარეობს, რომ საერთოდ მოვსთხოვოთ საფრანგეთს: ჯარი დაითხოვოს, მამულის-მოყვარეთა საზოგადოება და აგრეთვე მამულის-მოყვარეთა კავშირი და სხვა ელზას-ლოტრინის საზოგადოებანი გააუქმოს, დაასპატიმროს ყველა ისინი, რომელნიც სხვა სახელმწიფოთაგან არიან გარდახვეწილნი საფრანგეთში სამხედრო ბეგარისა და დასჯის თავიდგან ასაცილებლად და საზოგადოდ სხვა სახელმწიფოთა სურვილისამებრ იმოქმედოს თავისს აღმოსავლეთის საზღვარზედო. ეს თ. ბისმარკს რომ პირველში გამოეცხადებინა, რასაკვირველია, ყველა მიუხვდებოდა განზრახვას და ამიტომ იმითი შესცვალა ეს გეგმა მოქმედებისა, რომ ყველა სახელმწიფოთ წინადადება მისცა, იარაღი აეხსნათ და საომრად განმზადებული ჯარიც დაეთხოვათო. ამასთან ამის ასრულება საფრანგეთს უფრო სასტიკად მოვსთხოვოთ, რადგან საფრანგეთია კერა და ღედა-ბუდე ევროპის მშვიდობიანობის არეულობისა და აშლილობისაო. რა თქმა უნდა, ძნელი სათქმელი და გამოსაცნობია, მართლა აქვს თუ არა ბისმარკს ნაფიქრი და ნაზრი ამისთანა გეგმა მოქმედებისა, ხოლო ეს ამბავი იმისი-კი აშკარა გამომეტყველია, თუ როგორ უყურებენ საფრანგეთში გერმანიასა და იმის სურვილთა და წადილთა. ამასთან სათქმელია ისიც, რომ თვითონ გერმანიის ოფიციალური და არა-ოფიციალური გაზეთები არიან დამნაშავე, თუ ამ გვარი აღმაშფოთებელი ხმა დადის საფრანგეთის მწერლობაში. ამ უკანასკნელს დროს გერმანიის გაზეთები ისეთის რიხითა სჯრიან და ჰკრავენ საფრანგეთის საქმეებს, რომ უფრო გაამწვავებენ, არამც თუ გაანელებენ, ურთიერთს დამოკიდებულებას საფრანგეთ-გერმანიისას. ისე დღე არ გამოვა, რომ კანცლერის „Norddeutsche Allgemeine Zeitung“-მა არ შეურაცხჰყოს ფრანგები და არა სთქვას, რომ იმათ ელზასსა და ლოტრენში საქმე არა აქვსთო. „თვითონ ის მწერლებიო—ამბობს ეს აზეთი,—რომელნიც მეტად სჩივიან გერმანიის სასტიკად ქცევას ელზას-ლოტრენთა მიმართ, პირველნი წააქეზებდნენ საფრანგეთის მდაბიო ხალხს, რომ ჩაექოლეთ გერმანელი ოფიცერიო, რომელიც-კი გაჰბედავდა და ნანსსა და ან საფრანგეთის სხვა რომელსამე სასაზღვრო ციხე-ქალაქში წავიდოდა თავისის ავადმყოფ ნათესავის სანახავადაო“. ზემოხსენებულ ხმის გავრცელება მით უფრო არ არის საკვირველი, რომ ზოგიერთი გაზეთები სწორედ ამ გარემოებით ჰხსნიან გერმანიის სურვილს რუსეთთან დაახლოვებისას. მაგალითებრ, საღუსბერის „Morning Post“-ი ამბობს, რომ რადგან რუსეთისა და ავსტრო-ვენგრიის მორიგება აღმოსავლეთის საქმეში ყოვლად შეუძლებელია, ამიტომ ჩვენა გვგონია, რომ თუ გერმანიის იმპერატორი წავიდა რუსეთს, წავიდა იმად, რათა ხელ-ფეხი შეუკრას საფრანგეთს და მოკავშირეთაგან ცარიელი დასვასო.

# წვრილი ამბები

მეფე მილანს აგერ უკვე რამდენიმე თვეა სასახლიდგან გაუტანინებია ყველა სურათები დედოფლის ნატალიასი, ხოლო როცა შვილი ჩამოსვლია, უბრძანებია, რომ ერთი დედის სურათი იმის ოთახში ჩამოეკიდეთო.

—კარმენ სილვას (დედოფალს რუმინიისას) იმპერატრიცა ვიქტორიასათვის გაუგზავნია თავის მიერ შეთხზული პოემა იმპერატორს ფრიდრიხზედ. ეს პოემა არ დაიბეჭდება თურმე, რადგან რაღაცა სიტყვებია გადაკრული პოლიტიკაზედ.

— მეფე ჩერნოგორიის დარბაზად ყოფილა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ კარნოსთან. თავადს თან ჰყოლია თავისი თხუთმეტის წლის ვაჟიშვილი. დარბაზობამ ნახევარს საათს გასტანა თურმე. პრეზიდენტისაგან რომ გამოსულა, თავადი ჩერნოგორიისა ფლოკესთან წასულა.

— ნატალიას ვისბადენში წასვლის წინად დედოფლისას მისულა უცნობი ვიღაც ბატონი, ფრაკით გამოწყობილი. გოფმეისტერს უკითხავს, ვინა და რა გნებავსთო? ეს უცხო ქვეყნელი პირდაპირ მატარებლიდგან მოსული ყოფილა და უთქვამს, რომ დედოფალს მინდა პირად ვესაუბროვო. როცა იმისი სურვილი არ შეუსრულებიათ და დათხოვნა სდომებიათ სასახლიდგან, ბოლოს გამოუმჟღავნებია, რომ ლონდონიდგან აღმოსავლეთისაკენ მივდიოდი, გზად შევიტყე, რომ მეფე მილანი და დედოფალი ნატალია განქორწინებულან, და მინდა, რომ შევირთო, თუ დამთანხმდება, რასაკვირველიაო. ამ არა-მკითხე სასიძოსათვის, რაღა თქმა უნდა, კარები უჩვენებიათ.

— ბოსტონში დიდი აყალმაყალი და მითქმა-მოთქმა გამოუწვევია ერთს საცოდავ-სატირალს ამბავს. ვიღაც უმწიკვლო კაცს, სახელად ჯიბსონს, რომელიც ელექტრონით განათების კომპანიაში მსახურებდა, 29 ივნისს ჯვარი უნდა დაეწერნა თურმე ახალგაზრდა მის ჩანდლერზე. ყველაფერი მზად იყო პატარძლისას საქორწილოდ და სასიძო-კი არ

ნები და სახსოვარსაც დასტოვებ თვით შემდეგ სიკვდილისა. ხელსახოციც რომ ამოაცალო შენს კეთილის მყოფს ჯიბიდამ, არას გავნებს, პირ-იქით, უფრო სახელს გაითქვამ.

ასეთი თავისუფალი ასპარეზია მწერლობა და სასიქადულოც არის, რომ ყველას შეუძლიან თავის გამოჩენა, თუ-კი რისამე უნარი აქვს. მართალია, ასეთს თავისუფლებას, როგორცა ჰნახეთ, ცუდი მხარეცა აქვს, მაგალითად, ნაძირალა მწერლობა, რომლის არსებობას ვერა ჰყოფს უარს ვერც დარბაისელი მოწინააღმდეგე ჩემის ნაცნობისა, რადგან თვითონაც არა ერთხელ მწუხარებითა და გულის ტკივილით უჩვენებია მკითხველებისათვის ასეთის მწერლობის არსებობა ქვეყანაზე,—მაგრამ ძალიან სითამამე-კი დასჭირდება ხსენებულს ჯეჰელსა, რომ ჩემის ნაცნობის ნაწერებში გამონახოს რამ სასირცხო და სათაკილო შესახებ ზნეობრივის მოთხოვნილებისა. გონებრივსაზე-კი არას ვიტყვი—რა ვიცი, ყველანი კაცნი ვართ და შვილნი შეცდომისა.

**

ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ მეჩვენებინა, რამდენად უკაცრავად გახლავართ, როცა-კი საქმე შეეხება აზრსა. იქ სწორედ გუნებ-ნაქცეობასა და მარტიაობას გამოვიჩენთ ხოლმე, რადგან შეჩვეულნი არ გახლავართ ფიქრისა და აზრის დავიდარაბას. თორემ აბა თქვენ თვითონ გასინჯეთ, რა საკიჟინებელია ქალაქის სამსახური, თუ-კი ამავე დროს ახერხებ შეძლებისამებრ ემსახურო სამშობლო მწერლობასა და მშობლიურ აზრის ფეხის-ადგმას!..

ესეც რომ არ იყოს, ამისთანა უაზრო კიჟინიდამ ძალა-უნებურად ისეთი დასკვნა გამოჰყავს, რომ თითქო მწერლობისათვის კაცი არსად არ უნდა ჰმსახურობდეს და იყოს ან იათხ გროშიანი აბლაკატი, ან უეჭველად დილიდამ საღამომდე ჯიბგირობდეს მარცხნივ თუ მარჯვნივ და თან თავიც მოსწონდეს ასეთის ხელობით. ნუ თუ ქალაქის გზირობა ნაკლებს უფლებას გაძლევს წერისას, ვიდრე გზირობა ბ-ნ დანილოვთან ლანჩხუთში!?.

მე ხომ დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი აწირებული აზრი არა ჰქონდა სახეში ამ პატივცემულ მწერალს, მაგრამ ასე-კი გამოდის, როდესაც, ნაცვლად იმისა, რომ ნაკლი რამ მონახოს ჩემის ნაცნობის ნაწერებში, უკიჟინებს—გზირი ხარ ქალაქისაო. შე კაი კაცო, მოსახერხებელი იყოს, თორემ ვინ თავ-მკვდარი დაიწუნებდა თვით ქალაქის მამასახლისობას!..

**

ამისთანა მაგალითებს ჩვენის აზრის შეუჩვევლობისას ბევრს მოგიყვანდით, მაგრამ ამ ხელად ესეც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ სრულებით დავიბნევით ხოლმე თავში დაკრულ ქათმებივით არა მარტო მაშინ, როდესაც აზრი შეეხება რთულსა და ძნელად გამოსაგნებ საგანს, არამედ მაშინაც-კი, როდესაც სრულებით სადა აზრთანა გაქვსთ საქმე. შინაურსა და მეგობრულს ლაპარაკსაც რომ თავი დაანებოთ და გაჰსინჯოთ ჩვენი მწერლობა, ხშირად მოგაგონდებათ ერთი საუცხოვო ანეგდოტი საშუალ საუკუნეთა რაინდობის ცხოვრებიდამ. შეჰხვდნენ თურმე ერთმანეთს ორი წარჩინებული რაინდი თავის დროისა, აღასრულეს რაინდული წესი მისალმებისა და ბოლოს დაუსხდნენ ერთმანეთს პირდაპირ. საცა ისინი დასხდნენ, იმ ადგილს, სწორეთ იმათ შუა, ერჭო მიწაში ფარი. ამ ფარს ერთი პატივცემული რაინდი უყურებს ერთის მხრიდამა და მეორეკი—მეორე მხრიდამ. რაღაცაზე ჩამოუვარდა ლაპარაკი და ერთმა რაინდმა სთქვა, რომ ჩემი მტერი ისე გაილურჯე, როგორც აი ეს ლურჯი ფარიო. მეორე რაინდმა შენიშვნა მისცა, რომ მაგდენი ვერა დაგიკლია-რა შენის მტრისათვის, რადგან ფარი ლურჯი კი არა, ალის ფერიაო. „როგორ თუ ალის ფერიაო! ჰაი, შე უნამუსო, პირშიაც-კი მატყუებ, აბა რა კაცი ხარო! ეხლავ აკუწავ ჩემის ხმლითაო“. მეორე რაინდს უფრო გული მოუვიდა და ორნივ ეცნენ ერთმანეთს. დიდხანს იძიძგილავეს და იქნება ერთმანეთიც დაეჭამათ, რომ ამ დროს არ გამოჩენილიყო მესამე კაცი, რომელმაც გააშველა ორი პატივცემული ადამიანი და ჰკითხა ჩხუბის მიზეზი. „წარმოიდგინეო—უთხრა ერთმა—ეგ უნამუსო პირში მიდგა და უსირცხვილოდ მარწმუნებს, რომ ეს ფარი ალის ფერიაო“. ახლა მეორე მიუბრუნდა გამშველებელს: „გინახავთ დუნიაზე მაგისთანა აშარი კაციო! ეგეც რაინდია რაღა! ერთი შეჰხედეთ ამ ფარსა, განა ამას რაიმე სილურჯე ეტყობაო“. გამშველებელმა შეჰხედა, მართლა ალის ფერი გამოჩნდა ერთი მხარე ფარისა, წავიდა, გასინჯა ახლა მეორე მხარე, და ის კიდე ლურჯი იყო. დაჰკოცნა ორნივ აღელვებული რაინდი და უთხრა: სწორეთ ღირსეულნი რაინდნი შეჰხვედრიხართ ერთმანეთს და ორნივ დიდად მართალნი და პატიოსანნი კაცნი ხართო; მართლა რომ არც ერთი არა სტყუით, რადგან ფარი ცალს მხარეზე ლურჯია და ცალზე ალის ფერიო.

გასინჯეს რაინდებმა ორსავ მხარეს, შერცხვათ თავიანთი აჩქარება, გადაეხვივნენ ერთმანეთს, აღასრულეს რაინდული წესი გამომშვიდობებისა და დამშვიდებულნი გაუდგნენ თავ-თავიანთს გზასა.

**

ჩვენში რაკი ერთი ჭკუის საქმეზე ჩამოვარდება ბაასი, თითქმის აუცილებელია, რომ არ დაგვემართოს ასეთი სასაცილო ამბავი საშუალ საუკუნოთა პატივცემულ რაინდებისა. რომლისამე შემთხვევის გამო, და არა საქმის შესწავლის წყალობით, ვსთქვათ, ერთი ჩვენი თანამემამულეთაგანი თვალს მოჰკრავს ერთს მხარეს საგნისას და გაჩერდება—კეტი რომ ამტერიო წელზე, ფეხს ვეღარ მოაცვლევინებ და მეორე მხარეს ვერ დაანახვებ. გინდა კიდეც რომ დაიყოლიო როგორმე და გადაიყვანო მეორე ადგილზე მარტო იმ იმედით, რომ აჩვენო მაინც საგნის ახლა სხვა მხარე, განძრახ თვალებს დაჰხუჭავს და კი არ დაინახავს, რაც საჭიროა. ამ გვარსავე რაინდულს ჯიუტობას გამოიჩენს მეორე ჩვენი თანამემამულე და შეჰხედავს საგანს მარტო მეორეს მხრიდამ. პირველი მხარე იმისთვის არა არსებობს, და კინკლაობისა თუ ძიძგილაობის საბუთი გაუთავებელია, მანამ ჩვენნი პატივცემულნი თანამემამულენი ერთმანეთს არ ამოიჭამენ.

ეს, ჩემო ბატონებო, სულ იმისი ბრალია, რომ ჯერ ვერ შევაჩვიეთ ჩვენი გონება აზრისა და ფიქრის ატანას, არა ვართ დახელოვნებულნი, რომ ყოველს ღირსეულს საგანს შეძლებისამებრ მეცნიერულის თვალით შევხედოთ, გავუსინჯოთ ღირსებაცა და ნაკლულევანებაც, ერთი მხარეცა და მეორეც, სიგრძეცა და სიგანეც. უამისოდ-კი შეუძლებელია ჭეშმარიტების დადგენა, მართლის პოვნა და აბა რა ფასი უნდა ჰქონდეს აზრს, თუ-კი იმას აკლია ჭეშმარიტება და ასცდენია მართალი!..

ერთი იტყვის, რომ „თერგ-დალეულები“ იყვნენ სპეტაკნი, ვითარცა ციურნი არსებანიო, და ანათებდნენ ქვეყანას მსგავსად მზისა, მთვარისა და ვარსკვლავებისაო. გაჰყვება ამისთანა სიტყვების ქღარუნს, დაჰკარგავს ძაფს აზრისას, წავა... წავა, ზეცამდინ ასწევს „თერგ-დალეულებსა“ და ამავე დროს ქვესკნელში ჩაძვრენს საცოდავს ახალს თაობასა. მეორე თანამემამულეც თავის მხრივ გაუტევს და თვით ცას გარდააცილებს ღირსებას ახალის თაობისას და ამავე დროს სულ მტვერს აადენს „თერგ-დალეულებს“. თანაც ორივენი სჯერდებიან ცარიელს სიტყვებს როგორც ქებაში, აგრეთვე ძაგებაში. არც საგნის ცოდნა, არც გარემოების გამოძიება, არც ფლავი და არც დომხალი, ისე რაღაც ცხრა-წყენა.

ამითი, რასაკვირველია, საგანი უფრო გაურჩეველი და განუხილველი რჩება და ჩვენს აზრს ეცლება ხელიდამ უკეთესი მასალა თვალის ახელისა და თავზე ხელის მოსმისა.

სანო

მივიდა. მეორე დღეს საბრალო თავისს საწოლს ოთახში ეპოვნათ გულ-წასული და უგრძნობელი. მთელი სახე სისხლით ჰქონდა გასვრილი. უმაწვილს კაცს თავი მოეკლა იმ მიზეზით, რომ თვრმეტს მოეტყუებინა და შეკვეთილი საქორწილო ტანსაცმელი დროზედ არ მიეტანა.

— ამას წინად ინგლისის დეპუტატთა პალატაში შეუტანია ერთს დეპუტატს, პირუტყვთა მფარველ საზოგადოების მეთაურს, საჩივარი, რომ ინგლისის ერთს საგრაფოში ძლიან ხშირად ჰმართავენ მარულას ფურ-ირემსა, მონადირე ძაღლსა და ქათამს შორის და მთავრობამ ასეთი ტანჯვა პირუტყვებისა უნდა აღკრძალოსო. სპიკერს კონსერვატორების კაბინეტისას უპასუხნია, რომ, როგორც ჩვენ მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, ფურ-ირემი სრულიად მოზრდილია და ძაღლი თაგვი-ჭერია, ასე რომ ამ შემთხვევაში ვერავინ დაამტკიცებს, ვითომ ცხოველებს სასტიკად ექცეოდნენო.

— ძაღლების ერთს გამოფენაზე ერთს დედაკაცს შემდეგი შემთხვევა უამბნია თავისის ძაღლის შესახებ: „ბეტსის ძალიან უყვარს სხვა-და-სხვა საგნების ზიდვა თავისს ბუნაგში. ერთხელ ქათამს ფრთაში წაავლო პირი; მიათრია თავისს ბუნაგში, კარები მოუხურა და გარეთ არ უშვებდა. რამდენისამე ხნის შემდეგ ქათამმა კვერცხი დასდო. ბეტსიმ შესჭამა მაშინვე კვერცხი, ძალიან მოეწონა და გარდასწყვიტა, რომ აღარ გაუშვა, და ამიტომ, როცა წავიდოდა სადმე, ბუნაგის კარებს ქვას მიადებდა ხოლმე. როცა საჭმელს მიუტანდნენ, ყველაზედ რბილს ნაჭრებს არჩევდა და ქათამს აჭმევდა. ხოლო რადგან ქათამმა კვერცხის დადება მოიშალა, ბეტსი გაჯავრდა და თითონ ქათამი შესჭამა თურმე.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

ამას წინად თქვენს პატივცემულს გაზეთში დაბეჭდილი იყო, ვითომ ვილაც სავანელს და სხვებს ხაშურში წარმოდგენა გაემართოთ. რადგანაც მე სავანელის პსევდონიმით ვთამაშობ, გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ იგი სავანელი მე არა ვარ, რომელსაც ხაშურში ამხანაგებითურთ წარმოდგენა გაუმართავს. მით უმეტეს საბუთი მაქვს ამის თქმისა, რომ ტფილისიდგან ამ ხანებში ფეხიც არ მომიცვლია.

შ. საფაროვი

---

# დეპეშა

14 ივლისი

**პეტერბურგი.** ხვალ, რუსეთისაგან ნათლის ღების 900 წლის დღესასწაულის გამო, იქნება წყალ-კურთხევა სენატის ახლო უმაღლესის კარის ხარისხოვანთა, გენერალ იტეტისა და შტაბ და ობერ ოფიცრების თანადასწრებით. პეტერბურგსა და კრასნოე სელოში იქმნება საეკკლესიო ალლუმი ჯართა. დედა-ქალაქი მოირთვება ბაირაღებით.

გაზ. „Гражданинъ“-ი იუწყება, რომ იმპერატორი ვილჰელმი გამოუგზავნის ბერლინიდგან თავისს სურათს გენერალ-ადიუტანტს გლინკა-მავრინს და თავისს ბიუსტს უმაღლესის კარის მინისტრსა.

„Journal de St.-Pétersbourg“-ი იუწყება, რომ რუსეთის მმართებლობა მიემხრობა იმ პირობას, რომელიც ეხება სუეზის არხის ნეიტრალიტეტსო.

**კიევი.** დღეს ასკოლდის საფლავზე ნიკოლოზის მონასტრიდგან იყო ხატის გამოსვენება მთლად კიევის მღვიმის ეკლესიების სამღვდელოთა თანადასწრებით; ასკოლდის საფლავზე, ლიტურგიის შემდეგ, გადუხადეს პანაშვიდი ყველა მართლ-მადიდებელთ მხედართა.

15 ივლისი

**პეტერბურგი.** გუშინ საღამოს ყველა ეკკლესიებში დაიწყეს სადღესასწაულო რეკა, რომელმაც აუწყა ერს რუსეთისაგან ნათელ-ღების 900 წლის უქმის დადგომა. ღამის თევა იყო განსაკუთრებულის დიდ-მშვენიერებით; იმავე დროს დედა-ქალაქი შეუდგა დიდებულად თავის შემკობას დღესასწაულისთვის; განგებ და ლაზათიანად შეუმკიათ ის ქუჩები, სადაც უნდა გაიაროს ლიტანიამ. პავილიონი წყლის კურთხევისთვის გაკეთებულია გლაზეთისაგან; ალექსანდრეს სვეტთან გაკეთებულია მდიდრულად შემკული ქვა-ფენილი და ფანჩატური. ქალაქის კრედიტის საზოგადოების დარბაზის კედლები მთლად შემკობილია ბაირაღებით ბაირაყების გვარად სხვა-და-სხვა სლავიანთა ქვეყნებისა და ქალაქების ღერბთა გამოხატულობით.

„მმართებლობის მოამბე“ უარ-ჰყოფს «Москов. Вѣд.»-ის მიერ უწყებას გამოკვლევის თაობაზე ბალტიის კერძო გუბერნიებში სახელმწიფო ადგილ-მამულებისა, რომელნიც დაუსაკუთრებიათ ლიუტერანთა ეკკლესიებსა და კერძო კაცთაც.

გუშინ მეორედ განხილულ იქმნა ცნობილი საქმე დოქტორ დრეიპელჰერისა და ფელდშერის ერმოლოვიჩისა ავადმყოფის ქალის მიულებლობის თაობაზე სამკურნალოში. სასამართლომ დაადგინა ორთავეს დამწყვდევა ციხეში 4 კვირით.

**სევასტოპოლი.** გუშინ აკურთხეს ქვემო ნაწილი ხერსონესის წმ. მთავ დიმიტრის ტაძრისა, დღეს იქმნა იქ წირვა გადახდილი და შემდეგ-კი დიდი პანაშვიდი იყო ყოველ მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთათვის, რომელთაც ულვაწნიათ მართლ-მადიდებლობის გავრცელებლად.

**სტოკჰოლმი.** გუშინ დილა ადრე მეფე და მემკვიდრე პრინცი წაბრძანდნენ გერმანიის იმპერატორის მისაგებებლად ზღვაზე. მონარქნი ერთმანეთს მეგობრულად შეხვდნენ; მკვიდრთა დიდის აღტაცებით მიიღეს იმპერატორი. საღამოს იყო საპარადო სადილი. ამ დროს იმპერატორებმა ერთმანეთის სადღეგრძელო მიირთვეს და განაცხადეს სურვილი მეგობრობის კავშირის გამტკიცებისა, რომელიც აერთებს გერმანიასა და შვეციას.

**ბელგრადი.** მიტროპოლიტმა განუცხადა მეფეს, რომ სინოდი განქორწინების საქმეში კომპეტენტია მხოლოდ როგორც სააპელაციო ინსტანცია და ამიტომაც ყოვლის უწინარესად უნდა განსახილველად გადაეცეს კონსისტორიასაო.

**რომი.** აქ ჰფიქრობენ, რომ იმპერატორი ვილჰელმი ჰნახავს იმპერატორ ფრანც-იოსებს ენკენისთვის დამლევს, ხოლო მეფე ჰუმბერტოს 10 ღვინობისთვესაო.

ს.-პეტერბურგის ბირჟა: საადგილ-მამულო ბანკთა გირავნობის ფურცლებში იძლევიან ტფილისისაში 98 მან. 25 კ, ქუთაისისაში — 98 მან. და ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციებში 82 მან. 50 კ.

**პეტერბურგი.** ისაკიის ტაძრიდგან ლიტანია მივიდა წმინდა მთავრის ვლადიმერის ეკკლესიაში, პეტერბურგის მხარეზე. წყლის კურთხევაზე მდინარე ნევას. და დროშების დასხურებაზე დაესწრო მისი უდიდებულესობა. სლავიანთა საქველ-მოქმედო საზოგადოების საგანგებო კრებაზე თავმჯდომარეობდა გენერალი კირეიევი. სიტყვა წარმოსთქვეს თავ-მჯდომარემ კირეიევმა და დოქტორმა ქურნიმ; სეკრეტარმა არისტოვმა წაიკითხა ჰიმნი წმ. ვლადიმირისა, რომელიც დასწერა სლუჩევსკიმ; მუსიკა გლავაჩისა იყო.

**კიევი, 15** ივლისი. დღეს ჯარების დათვალიერების დროს უეცრად გარდაიცვალა წვეთისაგან გენერალ-გუბერნატორი კიევისა დრენტელნი.

**კიევი, 15** ივლისი. დღეს ყველა ეკკლესიებიდგან დიდი ლიტანია მივიდა მდ. დნეპრზე და წყალის კურთხევაზე. ლიტურგიის შემდეგ, რომელიც შეასრულა სამმა მიტროპოლიტმა, თორმეტმა არქიეპისკოპოსმა და ეპისკოპოსებმა სამღვდელოებითურთ, პროცესია ხატებითა, დროშებითა და საეკკლესიო წიგნებით წავიდა სოფიის ტაძრიდგან წმინდა ვლადიმირის ზემო ძეგლისაკენ; აქედგან ხალხის კურთხევის შემდეგ წავიდა ალექსანდრეს მთით. აქ პროცესიას შეუერთდა სხვა ეკკლესიების ლიტანიაც. პროცესია გაჩერდა დნეპრის ნაპირზე საგანგებოდ მომზადებულს ებმაზთან, წმ. ვლადიმირის ქვემო ძეგლის მახლობლად. ქალაქი მორთული იყო დროშებით და გირლიანდებით, რომლებზედაც გამოხატული იყო მოციქულთ სწორის წმ. ვლადიმირის ინიციალები. ყველა მოედნები, მთები და სახლების ბანები გაჭედილი იყო ხალხით. დნეპრზე მრავალი გემი იდგა. ოცი დიდი გემი, ხალხით სავსე, გარს ეხვია ებმაზსა. წყლის კურთხევისა და „მრავალ ჟამიერის“ შემდეგ ას ერთხელ ისროლეს ზარბაზანი. ტაროსი ჩინებულია. ჯარი ორსავე მხრით გამწკრივებული იყო და პროცესია ორ რაზმს შუა მიდიოდა. ლოცვის შემდეგ მოედანზე, ქრისტეს შობის ეკკლესიასთან, სამღვდელოება, დეპუტაციები და სტუმრები მიიპატიჟეს ქალაქის სადილზე, რომელზედაც მიტროპოლიტმა პლატონმა და ობერ-პროკურორმა უწმინდესის სინოდისამ წარმოსთქვეს სიტყვები.

პეტერბურგის ბირჟა, 14 ივლისი

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გაყიდულია | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — | „ | — | „ | 8 | 65 |
| ტამოჟნის კუპონები | — | „ | — | „ | 173 | |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — | „ | — | „ | 1 | 33 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — | „ | — | „ | — | „ |
| —მეორისა | — | „ | — | „ | — | „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | „ | — | „ | — | „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელი წადია ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი — უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი — მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია — 25.

მკათათვე 31 დღით არის.

**17** დღე კვირა. დიდად წამ. მარინესი და ღირსისა ლაზარესი. კათოლ. წმ. ალექსისა. სომეხ. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.— ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—51, ჩადის 7—21. მთვარე 21 დღისაა.

**18** დღე ორშაბათი. ღირსისა იაკინთესი. კათოლ. წმ. სვიმონისა. სომეხ. წმ. კალისტრატესი. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.— ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—52, ჩადის 7—20. მთვარე 22 დღისაა.

**19** დღე სამშაბათი. ღირსისა მაკრინესი. კათოლ. წმ. ვიკენტისა. სომეხ. წინასწარმეტყ. ზაქარიასი. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.— ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—53, ჩადის 7—19. მთვარე 23 დღისაა.

**20** დღე ოთხშაბათი. წმ. წინასწარმეტყველის ილიასი. კათოლ. წინ-მეტყ. ილიასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.— ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—54, ჩადის 7—18. მთვარე 24 დღისაა.

---

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | „ |
| „ 2 „ | 2½ | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 3½ | „ |
| „ „ 3 „ | 3 | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | „ |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | |
| მე-2 ხარისხისა | 4 | |
| მე-3 — | „ | „ |
| ძროხის ხორცი | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

# განცხადებანი

ამა მდგომარე 1888 წ. ენკენისთვისათვის ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის პირველს განყოფილებაში ორმოც-და-ორი (42) ვაკანსია იქნება; მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებაში ვაკანსია სულ არ არის და აგრეთვე არ არის ვაკანსია პირველსა და მეორე პროგიმნაზიულს კლასებში. პროგიმნაზიის მესამე და მეოთხე კლასებში არის ვაკანსიები, არა ნაკლებ ათ-ათისა თვითოეულში. პირველს განყოფილებაში შემომსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ. თხოვნა ინსპექტორის სახელზე უნდა შემოიტანონ 20 აგვისტოდამ 25 აგვისტომდე და ამასთანავე უნდა წარმოადგინონ წლოვანობისა და აზნაურობის მოწმობანი. თუ აზნაურობის მოწმობა არ ექნებათ, ბანკის მოწმობა (კვიტანცია) მაინც უნდა წარმოადგინონ, რომ ყმაწვილის მშობლები (დედა, ან მამა) ბანკის დამფუძნებელთა წევრთა შორის ითვლებიან.

25 აგვისტოს დაიწყება მისაღები და ხელ-ახალი ეგზამენები და გათავდება 31 აგვისტოს რიცხვში.

სწავლა დაიწყება პირველს სექტემბერს.

ინსპ. ბ. ჯორჯიკია

(6—2)

---

## ცნობათა უმთავრესი კანტორა

შ. ვ. დავიდოვისა.

ეს ერთად-ერთი კანტორაა ქ. ტფილისში, რომელიც მთავარმართებლის ნება-დართ. თულია და რომლისაც ... შენახული ხაზინაში.

კანტორასა აქვს საგნად შეჰკრიბოს და მოიპოვოს ყოველ-გვარი ცნობა, რომელიც-კი საჭიროა და სასარგებლო ვისთვისმე. კანტორას ეცოდინება, სად, რომელი, ვისი და როგორი მამული ისყიდება, გირავდება, ან იჯარით და ქირით იძლევა და რა ფასად; ვის უნდა სახლი დაიქირაოს, ან გააქირაოს ქალაქში, ანუ ქალაქ გარეშე; სად რა ბანკები, ანუ სავაჭრო და სატრანსპორტო დაწესებულებანი არიან და რა წესები აქვსთ შემოღებული თავიანთ საქმეში; ვინ ეძებს და ვის უნდა იშოვნოს საადვოკატო, სამწერლო, სამასწავლებლო და სხვა ამ გვარი, ანუ სხვა საქმე: მუშაობის, პრიკაშჩიკების, მოახლის, მოსამსახურის ადგილი და სხვა. არზების და სხვა ქაღალდების შედგენა.

ქ. ტფილისი, თავად-აზნაურ. ბანკის ქარვასლა (არწრუნისეული), თეატრის ქვეშ.

---


ვეძებ ფრანგულის ენის

**გაკვეთილებს.**

მსურველებს შეუძლიანთ ამბავი შეიტყონ ჩიმიშკიანის შენობაში, პირველის ნაგორნის ქუჩის ბოლოს.

პეტრე მირიანიშვილი

(10—7)

## კელერის ვარდის წყალი

(ვარდის ოდეკოლონი)

კარგის სატუალეტო წყლების მკოდნეთა და დამფასებელთათვის. ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში — რ. კელერთანა და ამხ., ნიკოლსკის ქუჩაზედ. 3—1 (ц.)

## Z-BOUQUET —
## Z — სუნნელოვანი წყლები

ფაბრიკა რ. კელერისა და ამხ., მოსკოვში.

როგორც ალფავიტში ასო „Z“ უკანასკნელი ასოა, აგრეთვე ეს ახალი სურნელოვანი წყალიც უკანასკნელი ნაყოფია საპარფიუმერო ხელოვნებისა. ამ წყალში შეერთებულია ყველა საუკეთესო თვისებანი განთქმულის საფრანგეთისა და ინგლისის სურნელოვან წყლებისა, საკვირველად ლაზათიანი და ფაქიზი სუნი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ სიძლიერით ინგლისის სურნელოვანს წყლებს აღემატება და სუნსაც თითქმის სრულიად არა ჰკარგავს ხმარების დროს.

ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში — რ. კელერთანა და ამხ., ნიკოლსკის ქუჩაზედ. 3—1 (ц.)


Доз. ценз. Тифлисъ, 16-го Іюля 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე